## მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| დაწესებულება | შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმი |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 404537391 |
| რეგიონი | თბილისი |
| რაიონი | ძველი თბილისი |
| მისამართი | ქალაქი თბილისი, გოგებაშვილის ქუჩა №21/55 |
| საფოსტო ინდექსი | 0102 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | www.zari.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | anzorshafatava@yahoo.fr |
| ტელეფონი/ფაქსი | 568 89 15 30 (ფაქსი არ აქვს) |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი** | |
| სახელი და გვარი | ინეზა იამანიძე |
| ტელეფონი | 568 89 15 30 |
| ელ-ფოსტა | anzorshafatava@yahoo.fr |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

| | |
|---|---|
| დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა | |
| პედაგოგი | 10 |
| მოსწავლე/სსსმ მოსწავლე | 2/0 |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
| გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი | 12.10.2017 გადაწყვეტილება № 107 |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 45 |

დაწესებულება ახორციელებს

- დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ☐
- საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ☐
- საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ☐

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 199 . 16.03. 2018 წელი |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | ნელი ნასყიდაშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე)<br>ლიანა კობესაშვილი (წევრი) |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 20.03.2018 წ. – 21.03.2018 წ. |
| დასკვნის პროექტის მომზადების თარიღი | 23.03.2018 წ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლამ წარმოადგინა 2017-2018 სასწავლი წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც არ იყო დამტკიცებული და ვიზიტის პირველ დღეს დაამოწმა სკოლის დირექტორმა ხელმოწერითა და ბეჭდით (იხილეთ, დანართი № 1 – 1 ფურცლად-სასკოლო სასწავლო გეგმის პირველი გვერდი).<br><br>ვიზიტის პერიოდში სასკოლო სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილის : „საათობრივი ბადე, რომელიც აზუსტებს, თუ კვირის რომელ დღეს, რომელ კლასში რომელი გაკვეთილი ტარდება მასწავლებლის ვინაობის მითითებით“ - შესახებ **სხვადასხვა ინფორმაცია იქნა მიღებული.** კერძოდ,<br><br>1) **სკოლის შინაგანაწესის მიხედვით:** თავი 2, მუხლი 3-ის მე-4 , მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტების მიხედვით : „სასწავლო კვირა ხუთდღიანია, სასწავლო პროცესი იწყება 9:15 საათზე, გაკვეთილის ხანგრძლივობა არის 45 წუთი, შესვენება გაკვეთილებს შორის 5 წუთი, დიდი დასვენებაა 10 წუთი, დასაქმებულები ვალდებულნი არიან სამუშაო დღეებში სკოლაში გამოცხადდნენ არაუგვიანეს 8 : 45 საათისა“ (იხილეთ, დანართი № 2 - 1 ფურცლად--ამონარიდი სკოლის შინაგანაწესიდან). ვიზიტის დღეს სკოლის დირექტორმა ამ დანართს გაუკეთა წარწერა: „ავტორიზაციის გადაწყვეტილების შედეგად, რომელიც I სემესტრის ბოლოს გულისხმობს, იმის გამო , რომ მასწავლებლები დაკავებულები იყვნენ ძირითად სამსახურებში, აუცილებელი გახდა სასწავლო პროცესის დაწყება 12 საათიდან. ამასთან, ამის სურვილი გამოთქვა გადმოსულმა მოსწავლეებმა და მშობლებმა“---- მოგახსენებთ, რომ ავტორიზაციის გადაწყვეტილება გულისხმობდა მთელ 2017-2018 სასწ. წელს და არა I სემესტრის ბოლოს. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......ნ. [signature]......
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......[signature]......
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------

2) ხოლო ვიზიტის დღეს: 20 მარტს, სამშაბათს, 10 : 00 საათზე სკოლა იყო დაკეტილი და სკოლის დირექტორთან სატელეფონო საუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი სამშაბათ დღეს იწყებოდა 14:00 საათზე და ჩვენც ვიზიტის განხორციელება შეგვეძლო ამ დროიდან.

3) თუმცა, როგორც **მე-12 კლასის მოსწავლემ,** მასთან გასაუბრებისას, აღნიშნა, მეცადინეობებზე მოდიოდა შეთანხმების მიხედვით და რომ დღეს (ანუ სამშაბათს) ის სკოლაში გამოცხდდა 12 : 00 საათზე, დაესწრო ჯერ ინგლისურში, ხოლო შემდეგ რუსულში საათნახევრიანი ხანგრძლივობის მეცადინეობებს, 16 : 00 საათზე იგი მიდიოდა ზოგად უნარებში მოსამზადებლად და ისევ უნდა დაბრუნებულიყო 17 : 00 საათზე სკოლაში ქართულის ორ მეცადინეობაზე დასასწრებად.

4) **ვიზიტის პირველ დღეს წარმოდგენილი გაკვეთილების ცხრილის** (იხილეთ, დანართი № 3 - 2 ფურცლად - ცხრილის სამუშაო ვერსია) შესახებ სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ის იყო სამუშაო ცხრილი და არ იყო მოქმედი ცხრილი და რომ მეორე დღეს წარმოგვიდგენდა დაზუსტებულ გაკვეთილების ცხრილს.

5) მეორე დღეს წარმოდგენილი **გაკვეთილების დაზუსტებული ცხრილის მიხედვით** კი (იხილეთ, დანართი №4 -1 ფურცლად-დაზუსტებული გაკვეთილების ცხრილი) ამ დღეს (სამშაბათს) მე-12 კლასის მოსწავლეს უნდა ჰქონოდა თითო თითო 45 წუთიანი გაკვეთილი ინგლისურში, რუსულში და 2 გაკვეთილი ქართულში( რომელიც უნდა დაწყებულიყო 13:40 საათზე და არა 17: 00 საათზე, როგორც მოსწავლემ განმარტა).

6) იგივე XII კლასის მოსწავლე ოთხშაბათს, ანუ ვიზიტის მეორე დღეს არ მოსულა სკოლაში, რადგან ამ დღეს მეცადინეობები არ ჰქონია. როგორც ვიზიტის მეორე დღეს წარმოდგენილი, დაზუსტებული გაკვეთილების ცხრილიდან გაირკვა, მე-12 კლასში, **კვირაში 4 დღეს ხდება სწავლება** ( იხილეთ, **დანართი №4 – 1 ფურცლად** ), ხოლო **სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით:** პუნქტი 5 - სასწავლო კვირა ხუთდღიანია (იხილეთ, დანართი № 5 -1 ფურცლად). სკოლის დირექტორს დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის შესახებ რაიმე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი გამოცემული არ აქვს.



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------------

დირექტორის ბრძანებების წიგნშიც არ მოიძებნა შესაბამისი ჩანაწერი(იხილეთ, დანართი № 5- 4 ფურცლად-ამონარიდი ბრძანებების წიგნიდან).

7) **რუსულის** ენის მასწავლებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მას გაკვეთილები ეწყებოდა **სამშაბათს** - 13 : 00 საათზე, შემდეგი ჰქონდა 14:00 და შემდეგი 15:00 სთზე. ვიზიტის მეორე დღეს წარმოდგენილი გაკვეთილების ცხრილის მიხედვით (იხილეთ, დანართი №4-1 ფურცლად) რუსული ენის გაკვეთილი იწყება მე-12 კლასში 12 : 50-ზე, ხოლო მე-11 კლასში 15:30 ზე. მასწავლებლის განმარტებით მას აქვს 3 გაკვეთილი, ხოლო წარმოდგენილი გაკვეთილების ცხრილის მიხედვით აქვს 2 გაკვეთილი. არც გაკვეთილების დაწყება-დამთავრების დრო, არც გაკვეთილების ხანგრძლივობა და არც გაკვეთილების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს.

8) **ინგლისური** ენის მასწავლებელთან გასაუბრებისას კი გაირკვა, რომ მისთვის საგაკვეთილო პროცესი იწყებოდა სამშაბათს 12 : 30 წუთზე, ხოლო პარასკევს - 12 : 00 საათზე, ხოლო გაკვეთილების ცხრილის (იხილეთ, დანართი №4-1 ფურცლად) მიხედვით სამშაბათს ინგლისური ენის გაკვეთილი იწყება 12 : 00 საათზე, ხოლო პარასკევ დღეს 13 : 40 საათზე. აქაც გაკვეთილების დაწყების დროები ერთმანეთს არ ემთხვევა.

9) **ბიოლოგიის** მასწავლებელმა აბიტურის საათების ჩატარებაზე გაამახვილა ყურადღება მე-11 და მე-12 კლასებში, 2-2 საათიანი კვირეული დატვირთვით, ორშაბათი, ხუთშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევ დღეს, რაც გაკვეთილების ცხრილით არ დასტურდება(იხილეთ, დანართი №4-1 ფურცლად).

ამდენად,

- სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტებში მოცემული და გასაუბრებებიდან მიღებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული ინფორმაციის საფუძველზე, სკოლას არ აქვს დაზუსტებული გაკვეთილების ცხრილი;



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

| | |
|---|---|
| | - სკოლის დირექტორის მიერ, ვიზიტის მეორე დღეს წარმოდგენილი დაზუსტებული გაკვეთილების ცხრილი გამორიცხვს სკოლაში დაგეგმილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესიის განხორციელებას, არც არის დამტკიცებული სათანადო წესით.<br>- მე-12 კლასელ მოსწავლეს ვიზიტის პირველ დღეს გაკვეთილების დაზუსტებული ცხრილის მიხედვით 13:40 სთ.- ზე უნდა დაწყებოდა სწავლა და უნდა ჩატარებოდა 45-45 წუთიანი ხანგრძლივობის გაკვეთილები შემდეგი თანამიმდევრობით: ორი ინგლისური ენის, ერთი რუსული ენის, ერთი ისტორიის და ორი ქართული ენის. ნაცვლად ამისა, ის დაესწრო საათნახევრიანი ხანგრძლივობის მეცადინეობებს 12:00 საათიდან ინგლისურ და რუსულ ენებში, შემდეგ მიდიოდა ზოგად უნარებში მოსამზადებლად და 17: 00 საათზე მოდიოდა ისევ სკოლაში ქართულის მეცადინეობაზე.<br>- ვიზიტის პირველ დღეს წარმოდგენილი გაკვეთილების ცხრილის სამუშაო ვერსია არის სკოლაში არსებული აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის მუშაობის გრაფიკი და არა სკოლის გაკვეთილების ცხრილის სამუშაო ვერსია. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა შემდეგი გარემოებები:<br><br>ა) მასში ჩამოთვლილია მხოლოდ ის საგნები, რომლებშიც ხდება მოსწავლეთა მომზადება: ინგლისური, ბიოლოგია, გეოგრაფია, რუსული, ქართული, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია;<br><br>ბ) მასში არის ჩანაწერები სკოლაში ჩარიცხულ 2 მოსწავლესთან ერთად სხვა მოსწავლეთა გვარების, ზოგან სახელების შესახებ, საგნებისა და მეცადინეობების დაწყების დროის მითითებებით;<br><br>გ) XII კლასში ჩარიცხული მოსწავლე საუბარში ახსენებს მეცადინეობებს და არა გაკვეთილებს;<br><br>დ) ბიოლოგიის მასწავლებელმა აბიტურის საათების ჩატარებაზე გაამახვილა ყურადღება მე-11 და მე-12 კლასებში, 2-2 საათიანი კვირეული დატვირთვით, ორშაბათი, ხუთშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევ დღეს, რაც გაკვეთილების ცხრილით არ დასტურდება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| | სკოლაში სასწავლო პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის მუშაობა საკლასო ოთახებში( სკოლის შენობაში არსებული მოსამზადებელი ცენტრის შესახებ ინფორმაციის ბანერი გამოკრულია სკოლის შენობის გარე ფასადზე). სკოლის დირექტორის განმარტებით ეს მეცადინეობები ხელს არ უშლიდა სასწავლო პროცესს. მოსამზადებელი ცენტრის მუშაობის გრაფიკის შესახებ რაიმე დოკუმენტი სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა. |
| დადასტურება/დანართი | • მოსწავლესთან ინტერვიურება;<br>• რუსული ენის მასწავლებელთან ინტერვიურება;<br>• ინგლისური ენის მასწავლებელთან ინტერვიურება;<br>• ბიოლოგიის მასწავლებელთან ინტერვიურება;<br>• დანართი № 1 – 1 ფურცლად- ამონარიდი სასკოლო სასწავლო გეგმიდან;<br>• დანართი №2 - 1 ფურცლად--ამონარიდი სკოლის შინაგანაწესიდან;<br>• დანართი №3 - 2 ფურცლად- გაკვეთილების ცხრილის სამუშაო ვერსია;<br>• დანართი №4 – 1 ფურცლად - გაკვეთილების ცხრილის დაზუსტებული ვერსია;<br>• დანართი№5 - 4 ფურცლად-ამონარიდი ბრძანებების წიგნიდან. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ა" პუნქტი; |

**1.2** სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............ ნ. [signature]

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............ [signature]

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში ვიზიტისას ირიცხებოდა 2 მოსწავლე. ერთი მე-11 კლასელი და ერთი მე-12 კლასელი.<br><br>დირექტორის ბრძანებების წიგნიდან, ბრძანება № 4, 11.11.2017 წ. (იხილეთ, დანართი **№ 5**- 4 ფურცლად) ნათქვამია: „ სწავლა განაგრძოს ლუკა დვალმა X კლასში (მოსწავლის სტატუსის აღდგენის შემდეგ)მიმდინარე სასწავლო წლის 2017/18 11 ოქტომბრიდან", ხოლო ბრძანება № 6 -ში(თარიღი არ არის მითითებული) კი ვკითხულობთ „ ამოირიცხოს X კლასის სიიდან მოსწავლე ლუკა დვალისხვა სკოლაში გადასვლასთან დაკავშირებით. მე-10 კლასის ჟურნალი საერთოდ არ დაგვხვდა სკოლაში, ამდენად არც მოსწავლის ამ სკოლაში სწავლის შესახებ არანაირი სხვა ინფორმაცია არ იქნა წარმოდგენილი.<br><br>სკოლაში ჩარიცხული 2 მოსწავლიდან მე-12 კლასელს გავესაუბრეთ, ხოლო მე-11 კლასელ მოსწავლეს ვერ შევხვდით. სკოლის დირექტორის განმარტებით ის იყო ავად. თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა სამშაბათს ის მოსულა მხოლოდ ქართულის მეცადინეობაზე, სხვა მეცადინეობებს არ დაესწრო არც სამშაბათს და არც ოთხშაბათს. როგორც მისმა მშობელმა(დედამ) აღნიშნა, ბავშვი იყო ავად, მაგრამ ქართულში მეცადინეობა რომ არ გაეცდინა ამიტომ მოვიდა სკოლაში. მშობელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ მის შვილს ყველა საგანში ჰქონდა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, კერძოდ, ქართულში, მათემატიკაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, ისტორიაში, ქიმიაში. შემაჯამებლებს მოსწავლე წერს ზოგჯერ ფურცელზე, ზოგჯერ რვეულში, რომლებიც ინახება მასწავლებელთან.<br><br>2017-2018 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ I სემესტრის შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით(იხილეთ, დანართი **№ 6** - 3 ფურცლად, ამონარიდი სასკოლო სასწავლო გეგმიდან შემაჯამებელი დავალებების შესახებ).<br><br>სკოლის დირექტორის განმარტებით კი შემაჯამებელი სამუშაოები არ ჩატარებულა არცერთ კლასში და არცერთ საგანში არცერთ მოსწავლესთან. ვიზიტის მეორე დღეს სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების გრაფიკის (იხილეთ, დანართი **№7** -1 გრძელი ფურცელი)მიხედვით, მასწავლებლებს შემაჯამებელი დავალებების დაწერა არ ევალებოდათ 21 მარტამდე. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი --------------------------------------

| | |
|---|---|
| | წარმოდგენილი გრაფიკი არ იყო დამტკიცებული და მას არ იცნობდნენ არც მასწავლებლები, რადგან როგორც მათ აღნიშნეს მათ ჰქონდათ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები. სკოლის დირექტორი საუბარში ჩართვისას ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს არ იყო შემაჯამებლები და როცა ის დართავდა მათი ჩატარების ნებას, მხოლოდ იმათ დაერქმეოდა შემაჯამებელი დავალებები.<br><br>წარმოდგენილი II სემესტრის შემაჯამებელი დავალებების მინიამლური რაოდენობისა და განრიგის მიხედვით(იხილეთ, დანართი **№ 7** ) მე-12 კლასის მოსწავლე ქართულ ენაში მე-4 შემაჯამებელს დაწერს 25 მაისს, მაშინ როცა სწავლა წყდება 18 მაისს, **რაც დარღვევაა** და არ მოდის შესაბამისობაში შემაჯამებელი დავალების დაწერის ვადებთან, რადგან ვერც დაწერს და ვერც აღადგენს, თუ ამის საჭიროება გაჩნდება.<br><br>მასწავლებელებთან და მოსწავლესთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მათ ჰქონდათ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები. კერძოდ, მათემატიკის მასწავლებელს ჰქონდა 2 შემაჯამებელი ჩატარებული მე-11 კლასში(იხილეთ, დანართი **№ 8** - 4 ფურცლად--ამონარიდი მოსწავლის რვეულიდან მათემატიკაში ჩატარებული 2 შემაჯამებელი დავალების შესახებ).<br><br>- შეფასება საკლასო ჟურნალში არ არის შეტანილი;<br>- სკოლაში არ ხდება საკლასო ჟურნალების წარმოება არც მოსწავლეთა დასწრების და არც მათი შეფასების მიზნით, არ არის ჟურნალის გვერდები ჩახურული (იხილეთ, ნიმუშად, დანართი **№ 9**-11 ფურცლად-ამონარიდი XII კლასის საკლასო ჟურნალიდან).<br><br>სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ იყო.<br><br>მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სკოლაში არ ინახავენ არანაირ დოკუმენტაციას(ან სასწავლო გეგმები, ან გაკვეთილის გეგმა, ან შემაჯამებელი დავალებების დაგეგმვის შესახებ). მხოლოდ ერთმა, კერძოდ, ქიმიის მასწავლებელმა გვაჩვენა ინტერნეტით, შემაჯამებელი დავალების დაგეგმვის დოკუმენტის ელექტრონული ვერსია, რომელიც მას ჰქონდა გამზადებული იმ სხვა სკოლისათვის, სადაც ძირითადად |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| | მუშაობდა და აღნიშნა, რომ აქაც ამ ფორმით (ტესტი ღია და დახურული ტიპის შეკითხვებით) აპირებდა ჩატარებას.<br><br>**ინტერვიურება მათემატიკის მასწავლებელთან -**<br>მათემატიკის მასწავლებელი : „ მე-11 კლასელი გადმოვიდა 29 იანვარს, ჩავატარეთ 2 შემაჯამებელი, ერთი იანვარში--7 ქულა მიიღო და მეორე მარტის დასაწყისში--მიიღო 8 ქულა“(იხილეთ დანართი № 8-4 ფურცლად).<br><br>„მე-12 კლასელთან, რომელიც გადმოვიდა 8 დეკემბერს, არ მაქვს შემაჯამებლები ჩატარებული, რადგან მოსწავლე სუსტია მათემატიკაში და მხოლოდ საკლასო წერები აქვს დაწერილი ძველ მასალაზე, რომლებიც შეფასებულია ქულებით, საკლასო ჟურნალში ქულები არ არის შეტანილი. ახლა უნდა დავწერო 3 შემაჯამებელი“.<br><br>შემაჯამებლის შეფასების ქულა ჩამოსწავლეს ჩაწერილი აქვს მის რვეულში, ჟურნალში ქულები არ არის ჩაწერილი. არ არის წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებისათვის საჭირო ის ინფორმაცია, რაც მასწავლებელს ევალება სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით(იხილეთ, დანართი № 6), კერძოდ, „სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები; მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა: თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები“.<br><br>მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელია მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| დადასტურება/დანართი | • დანართი№5 - 4 ფურცლად-ამონარიდი ბრძანებების წიგნიდან.<br>• დანართი № 6 - 3 ფურცლად, ამონარიდი სასკოლო სასწავლო გეგმიდან შემაჯამებელი დავალებების შესახებ). |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------------

| | |
|---|---|
| | • დანართი № 7 – 1 გრძელ ფურცლად--შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა განრიგი II სემესტრისათვის;<br>• დანართი № 8 - 4 ფურცლად- ამონარიდი მე-11 კლასის მოსწავლის რვეულიდან მათემატიკაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ;<br>• დანართი № 9-11 ფურცლად- ამონარიდი XII კლასის საკლასო ჟურნალიდან;<br>• მათემატიკის მასწავლებელთან ინტერვიურება;<br>• მოსწავლესთან ინტერვიურება;<br>• მე-11 და მე-12 კლასების საკლასო ჟურნალების ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი. |

**1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშეწყობის ზოგადი ჩარჩო/დოკუმენტი, რომელიც დაზუსტდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღების შემთხვევაში |
| დადასტურება/დანართი | • 2017-2018 სასწ. წლის სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• სკოლის საკლასო ჟურნალებით;<br>• ადგილზე დათვალიერებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „გ" პუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში 10 მასწავლებელია, ამათგან ინტერვიურება ჩატარდა სკოლის 5 მასწავლებელთან: რუსული ენის, ინგლისური ენის, ბიოლოგიის, მათემატიკის და ქიმიის.<br><br>სკოლაში არსებული შეფასების სიტემისა და შეაფსების კრიტერიუმების გამჭვირვალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ მიერ წარმოდგენილი არ იქნა(მათ აღნიშნეს, რომ დოკუმენტაციას სახლში ინახავენ).<br><br>ჟურნალებში მოსწავლეები არ არიან შეფასებულები.<br><br>ვიზიტის მეორე დღეს, მხოლოდ ერთ-ერთ საკლასო ოთახში, იყო გამოკრული კედელზე შეფასების ზოგადი 5 კრიტერიუმი.<br><br>მშობელმა აღნიშნა, რომ ის მასწავლებელებთან სატელეფონო საუბრებისას იღებს ინფორმაციას მისი შვილის ქულების შესახებ.<br><br>სკოლის ვებგვერდი აღარ ფუნქციონირებს.<br><br>სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა არ დასტურდება. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ინტერვიურება სკოლის 5 მასწავლებელთან. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| | |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „დ"პუნქტი;<br>**არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანების მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;**<br>**არ შეესაბამება 2015 წლის 7 სექტემბრის „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანების 46-ე მუხლის მოთხოვნებს.** |

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

| | |
|---|---|
| აღწერა | მშობელს ინფორმაცია მიეწოდებათ სატელეფონო ზარებისა და ინდივიდუალური შეხვედრების დროს |
| დადასტურება/დანართი | • ინტერვიურებით მშობელთან;<br>• სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ე" პუნქტი. |

**1.6** შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი შემუშავებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...ნ. [signature]...

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...[signature]...

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ---------------------------------------

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | • სკოლის სასწავლო მეთოდური ცენტრის დებულებით |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტი. |

## II. მატერიალური რესურსი

**2.1** დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა № 21, ბესარიონ ბელინსკის ქუჩა № 55.<br><br>შპს „ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმი“ 404537391 ქვემოიჯარის უფლებით ქვემეიჯარე შპს „ თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმი“ 2038437888- საგან არნიშნულ მისამართზე ფლობს :<br><br>ფლობის საგანი: სართული 1 და 2 ფართი 150.60 კვ. მ. სარდაფი 15.72 კვ. მ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| | |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | № 01.15.02.033.031.01.001 |
| დადასტურება/დანართი | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან განცხადების რეგისტრაცია № 882017796602 – 31/08/2017 11:20:48, მომზადების თარიღი - 01/09/2017 17: 019:28 );<br>• სკოლის ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი. |

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში ამჟამად 2 მოსწავლე სწავლობს.<br><br>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 5 საკლასო ოთახში( სამი საკლასო ოთახი მეორე სართულზეა, ორი პირველ სართულზე), რომლებიც აღჭურვილია 47 ინდივიდუალური მერხითა და ამდენივე სკამით, სასკოლო დაფებით. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• სკოლის დირექციასთან გასაუბრება;<br>• ბრძანებების ჟურნალი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი -----------------------------------

| | |
|---|---|
| | |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი. |

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი არ აქვს.<br><br>დაწესებულებას სპორტის სახეობებიდან საფეხურზე არჩეული აქვს კალათბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი.<br><br>სკოლაში არის 3 ჭადრაკის დაფა და მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ითამაშონ მხოლოდ ჭადრაკი |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• მშობელთან და მოსწავლესთან ინტერვიურება. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი. |

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| აღწერა | ერთ ერთ საკლასო ოთახში განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ზოგიერთი დასახელება: 15 ფიზიკის სახეობის, 3 ბიოლოგიის და რამდენიმე მინის მილი და კოლბები, 9 ერთეული პლაკატი-თვალსაჩინოება. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• რესურსცენტრიდან ჩუქებით მიღებული და თბილისი გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერისუბნის ლიცემიდან გადმოცემული რესურსების ჩამონათვალი. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი. |

**2.2** **სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | კლასებში არის ბუნებრივი განათება, მათი გათბობა ხდება ელექტროგამათბობლებით. შენობის ყოველ სართულზე თითო სველი წერტილია |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• კომუნალური გადახდის ქვითრები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

**2.3** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 336 ერთეულს, რომელიც წიგნების ჩამონათვალის დოკუმენტიდან ჩანს, მათ შორის არის ყველა კლასის და საგნის გრიფირებული სახელმძღვანელო.<br><br>სახელმძღვანელოები დალაგებულია თაროებზე საგნების მიხედვით. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ფურცლების შეკვრა-წარწერით: ბიბლიოთეკა |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. |

**2.4** სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის მოიაზრებს შესასვლელიდან მეორე სართულზე ასასვლელ რკინის დასამონტაჟებელ პანდუსებს და მეორე სართულზე არსებულ 1 სველ წერტილს რომელშიც შესასვლელი კარი ვიწროა.<br><br>სკოლის დირექტორის განმარტებით მოსწავლის მიღების შემთხვევაში მოხდება მისი გაფართოება. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• დირექტორთან გასაუბრება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

| | |
|---|---|
| | |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. |

**2.5** **სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას**

| | |
|---|---|
| აღწერა | ვიზიტის პერიოდში სკოლაში მხოლოდ 1 ერთეული, ინტერნეტით უზრუნველყოფილი, კომპიუტერი იყო სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული. სკოლის დირექციის წარმომადგენლის განმარტებით სკოლა ფლობს 5 კომპიუტერს, რომელთაგან 4 კომპიუტერი წაღებული აქვთ ახალი პროგრამების ჩასატვირთად. სკოლის ვებ-გვერდი აღარ ფუნქციონირებს. სკოლა საკომუნიკაციო და საინფორმაციო მიზნებისათვის იყენებს სოციალურ გვერდს. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ჩუქების, მიღება-ჩაბარების აქტები. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს ყოველ სართულზე განლაგებული თითო ცეცხლმაქრი, რომლებიც ვიზიტის პერიოდში იყო დამუხტული, შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსფრთხოების უზრინველყოფის მექანიზმი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტი. |

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის მეორე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც არ არის დამტკიცებული შესაბამისი წესით |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...........................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი -----------------------------------

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სამედიცინო კაბინეტი სკოლაში არ არის. სკოლას არ ჰყავს საშტატო განრიგით(იხილეთ, დანართი № 10- 1 ფურცლად-სკოლის საშტატო განრიგი) ან ექთანი ან ექიმი, ხოლო ვინც ჰყავთ ხელშეკრულებით აყვანილი, მას კვალიფიკაცია არ უდასტურდება, რადგან სკოლის დირექტორის განმარტებით, დიპლომი აქვს დამწვარი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• გასაუბრება სკოლის დირექციასთან;<br>• ხელშეკრულება სამედიცინო პერსინალთან;<br>• დანართი № 10-1 ფურცლად - საშტატო განრიგი. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები |
| დადასტურება/დანართი | • გასაუბრება სკოლის დირექტორთან;<br>• შინაგანაწესი. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.დ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება - ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება -ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის შენობის გარე პერიმეტრი კონტროლდება 2 ვიდეოთვალი, რომლებიც მოთხოვნების შესაბამის პარამეტრებისაა, ხოლო შიდა, მეორე სართულზე ასასვლელ კიბეს აკონტროლებს ერთი ვიდეოთვალი. მათი ჩანაწერების კონტროლი ხორციელდება სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული კომპიუტერით. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერება |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნა. |

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• წესდება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი. |

**2.8** **შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის განვითარების გრძელვადიანი(ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები |
| დადასტურება/დანართი | • ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა:<br>• ერთწლიანი სამოქმედო გეგმა |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი. |

**2.9** **დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მიმდინარეობს შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა, დირექტორის ბრძანებების წიგნის წარმოება |
| დადასტურება/დანართი | • შემოსული დოკუმენაციის აღრიცხვის ჟურნალი: |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------

| | |
|---|---|
| | • გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• ბრძანებების ჟურნალი. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი. |

## III. ადამიანური რესურსი

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას ე.წ. საშტატო განრიგით (იხილეთ, დანართი № 10 -1 ფურცლად- სკოლის საშტატო განრიგი)გათვალისწინებული ჰყავს სკოლის დირექტორი, მოადგილე, 10 მასწავლებელი. დამლაგებელი, საქმისმწარმოებელი და ბუღალტერი. ბუღალტრის პოზიცია ვაკანტურია. ბუღატრის ფუნქციებს ვიზიტის პერიოდში ითავსებდა დირექტორის მოადგილე, ბატონი შაფათავა. |
| დადასტურება/დანართი | • ბრძანებების ჟურნალი;<br>• შინაგანაწესი;<br>• შრომითი ხელშეკრულებები;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>• დანართი № 10 -1 ფურცლად- სკოლის საშტატო განრიგი;<br>• მასწავლებელთა სერტიფიკატები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ა" პუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------

**3.2** სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა პირადი საქმეებიდან ირკვევა, რომ ოთხ მასწავლებელს აქვს მასწავლებლის სტატუსი, 4 მასწავლებელს უდასტურდებათ კვალიფიკაცია იმ საგანში რომელსაც ასწავლის. ჭადრაკის მასწავლებელს და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პირადი საქმე (დიპლომები) სკოლამ ვერ წარმოადგინა. |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებლების პირადი საქმეები და მათი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტები - დიპლომები, შრომითი ხელშეკრულებები;<br>• გასაუბრება დაწესებულების დირექციის წარმომადგენელთან. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ზ“ პუნქტი.<br><br>არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ მუხლი $30^2$-ის მე-2 პუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------------

**3.3** სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის შინაგანაწესი |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ" პუნქტი. |

**3.4** მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის 10 მასწავლებელთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები |
| დადასტურება/დანართი | • თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „დ" პუნქტი. |

**3.5** სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა არ არის ჩართული მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლის დირექტორის განმარტებით მათ აქვთ შემუშავებული ალტერნატიული სქემა და წერილი ამის შესახებ გაგზავნილი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| | აქვთ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, ბატონ ჯეჯელავასთან. გაგზავნილი წერილის ასლი სკოლამ ვერ წარმოადგინა. წერილზე პასუხი არ აქვთ მიღებული.<br><br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და წინსვლისთვის სკოლის მიერ შემუშვებული შიდა მექანიზმი გაწერილია დოკუმენტში - ატესტაციის დებულება, რომლის მიხედვითაც ატესტაცია ჩატარდება 2 ეტაპად და შედეგად მასწავლებელს მიენიჭება კატეგორია. |
| დადასტურება/დანართი | • ატესტაციის დებულება;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექტორთან. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე" პუნქტი. |

**3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

| | |
|---|---|
| აღწერა | მშობლის განმარტებით ბავშვი მშვიდ გარემოშია, დროს არ კარგავს უქმად, ვიცი რომ მეცადინეობს და 5 წუთიც რომ დააგვიანდეს დირექტორი მირეკავს და კითხულობს დაგვიანების მიზეზს.<br>სკოლას აქვს უსაფრთხო სკოლის ხელშეწყობის მიზნით საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის მოსწავლის მშობელთან ინტერვიურება |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ......................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ------------------------------------

| | |
|---|---|
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ვ" პუნქტი. |

თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი № 1 – 1 ფურცლად- ამონარიდი სასკოლო სასწავლო გეგმიდან;
- დანართი №2 - 1 ფურცლად--ამონარიდი სკოლის შინაგანაწესიდან;
- დანართი №3 - 2 ფურცლად- გაკვეთილების ცხრილის სამუშაო ვერსია;
- დანართი №4 – 1 ფურცლად - გაკვეთილების ცხრილის დაზუსტებული ვერსია;
- დანართი№5 - 4 ფურცლად-ამონარიდი ბრძანებების წიგნიდან.
- დანართი № 6 - 3 ფურცლად, ამონარიდი სასკოლო სასწავლო გეგმიდან შემაჯამებელი დავალებების შესახებ).
- დანართი № 7 – 1 გრძელ ფურცლად--შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა განრიგი II სემესტრისათვის;
- დანართი № 8 - 4 ფურცლად- ამონარიდი მე-11 კლასის მოსწავლის რვეულიდან მათემატიკაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების შესახებ;
- დანართი № 9 - 11 ფურცლად- ამონარიდი XII კლასის საკლასო ჟურნალიდან;
- დანართი № 10 – 1 ფურცლად - სკოლის საშტატო განრიგი.

| | |
|---|---|
| სულ დანართი 10 დანართი | 29 ფურცელი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ----------------------------------------